№ 12 19 იანვარი, სამშაბათი. 1866—1882 19 იანვარი, სამშაბათი № 12

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

რედაქცია

გოლოვინის პროსპექტზედ, იგ. მუხრანსკის სახლებში ეკლესიის ქვემოთ

ხელის-მოწერა

მიიღება თფილისში „დროების" რედაქციაში, ქუთაისში: ჭილაძის (გერარდის) წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба".

„დროების" ფასი:

| | | | |
|---|---|---|---|
| მთელის წლისა . . . | 9 მან. | სამის თვისა . . . | 3 მან. |
| ექვსის თვისა . . . | 5 მან. | ერთის თვისა . . . | 1 მან. |

ფასი განცხადებისა

დიდი ასოებით, ასოზე 1 კაპ., ასო მთავრულით ასოზე ნახევარი კაპ., ჩვეულებრივი ასოებით სტრიქონზე შაური.

თუ ხელმოწერა ... დაუმოწმებელს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.

ცალკე ნომერი „დროებისა" ღირს ერთი შაური.

თფილისის გუბერნიის კეთილ-შობილთ წინამძღოლი თავადი სუმბათოვი განუცხადებს თავად-აზნაურთ საზოგადოებას, რომელ თფილისის გუბერნიის კეთილ-შობილთ კენჭით აღმორჩევა დაიწყობის მომავალ მაისის დამდეგს (3—3)

საზაფხულო თეატრში

ოთხშაბათს, 20 იანვარს

ქართული დრამატიული დასის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება:

იმპერატორი ალექსანდრე II-ს

სახელით ბავშვთა თავ-შესაფარ სახლის სასარგებლოდ წარმოდგენილი იქნება პირველად

სამშობლო

დრამა 5 მოქმედებად და 7 სურათად ფრანცუზულიდამ გადმოკეთებული თ. დ. ბ. ერისთავისაგან.

ახალი დეკორაცია: მეტეხის ციხე და ისტორიული ჩაცმულობა.

ბილეთები ისყიდება თეატრის კასსაში.

დასაწყისი $7 \frac{1}{2}$ საათზე

## ტელეგრამმა

(„საქართველოს ტელეგრაფის სააგენტოსი")

**პეტერბურღი**, 15 იანვარს. დენ. კახანოვის თავსმჯდომარეობით შემდგარმა კამისიამ მეფოს მიანდო სიის შედგენა იმ სტატიებისა, რომელნიც საერო და საგუბერნიო დაწესებულებაზედ ყოფილა დაბეჭდილი.

მაკტერინბურღის გაჭარმა პეტროვმა 400,000 მანეთი უანდერძა იმ დაწესებულებას, რომელიც უპატრონო ყმაწვილებსა ზრდის.

ახალი კანონი შესახებ მცირეწლოვანთა ფაბრიკებზე მუშაობისა 1 ივლისიდამ შევა მოქმედებაში.

**პარიჟი**, 15 იანვარს. გამბეტამ და ყველა მინისტრებმა რესპუბლიკის პრეზიდენტს გრევის წარუდგინეს სამინისტროდამ დათხოვნის ქაღალდი.

**პეტერბურღი**, 16 იანვარს. ბოროტმოქმედების მოსასპობლად თ. სვიატოპოლკ-მირსკიმ გამოცვალა ბევრი ჩინოვნიკები დონის მაზრისა 15 იანვარს ის პეტერბურღში წავიდა.

დაწესდა ცალკე კამისია იუნკრის სასწავლებლების წესდების გადასასხედავად.

შვეიცარიაში მიიცვალა ლიტერატორი ზაიცევი ადრინდელი თანამშრომელი ჟურნალის „რუსსკოე სლოვოსი" და „აღმოსავლეთის ისტორიის" ავტორი.

სამხრეთ რუსეთის ქვა-ნახშირის მწარმოებელნი არდგენენ საზოგადოებას იმ მუშების შესაწევნელად, რომელთაც ამ ქვა-ნახშირზე მუშაობის დროს რაიმე უბედურება შეემთხვევათ.

**პეტერბურღი**, 17 იანვარს. 26 იანვარს დანიშნულია დიდი პოლიტიკური პროცესსი.

თერგისა და ყუბანის მაზრაში ცალკე გამგეობა იქნება დანიშნული სახელმწიფო მამულებისათვის.

19 იანვარს მინისტრების კამიტეტს ექნება სხდომა, რომელზედაც მოილაპარაკებენ იმაზე—თუ რა უფლება უნდა ჰქონდეს მინიჭებული კავკასიის ახალ მთავარ-მმართებელს.

## ყოველის მხრით გზა შეკრული ქვეყანა

თფილისი, 18 იანვარს.

ჩვენს ქვეყანაზე მოგახსენებთ და ფოჩტის გზის შეკრულობაზე და არა სხვა რაზედმე...

დღეს მეოთხე დღეა, რაც ნამდვილად ყოველის მხრით გზა შეკრული გვაქვს—კავკასიის მთებიდამაც და ფოთიდამაც; მთებში რამდენსამე ალაგას, და უმთავრესად კობისია და უაზნევის სტანციებს შუა, ქარ-ბუქისა და თოვლისაგან გზა შეკრულია და რამდენიმე ასი კაცი-მუშა ადგას გასაწმენდადაო; ფოთისაკენ ბექათუბანისა და ხაშურის რკინის გზის სტანციებს შუა იმდენი თოვლი დაუყრია ქარიშხალს, რომ რკინის გზის მატარებელი გაჩერებულია, ველარ მუშაობს.

ამის წყალობით ეს ოთხი დღეა, რაც ყოველის მხრით შეზღუდული, გზა შეკრული ვართ, არც რუსეთიდამ და არც საზღვარ-გარითიდამ ფოჩტები არ მოგვდის. ასე რომ ჩვენ სრულებით არა ვიცით-რა—რა ხდება დედამიწაზე.

ჯერ მხოლოდ ოთხი დღეა, რაც ამ მდგომარეობაში ვართ; მაგრამ ჩვენ გვახსოვს მაგალითები, რომ ერთი კვირა, ათი დღე, ორი კვირა და ხან მეტიც ამ დღეში ვყოფილვართ, ასე შეკრული და მოშორებული მთელს ქვეყანას.

სვანეთი და ლეჩხუმი არიან მუდამ წელს, ზამთრობით, ამ მდგომარეობაში და ეს გვაკვირვებს. და რამდენად გასაკვირველი და საყურადღებო უნდა იყოს, როდესაც მთელი საქართველო, თითქმის მთელი კავკასია ამ მდგომარეობაშია!

კვლავაც მივაქცევია ჩვენ ყურადღება ამ მხრით ჩვენის ქვეყნის სამწუხარო მდგომარეობაზედ და ახლაც მივაქცევთ. ყველასთვის ცხადი უნდა იყოს, თუ რამდენი დაბრკოლება ეძლევა ყოველგვარ ჩვენს საქმეებს ამ უგზოობით, თუ როგორი და რამდენი ვნება მოაქვს ამას ჩვენ ეკონომიურ და გონებით წარმატებისათვის.

ჩვენის აზრით, ურიგო არ იქნება, რომ ჩვენმა ქალაქის თვით მმართველობამ მიაქციოს ამ გარემოებას ყურადღება. იმას შეუძლიან იშუამდგომლოს უმაღლესის მთავრობის წინაშე, რომ სანამ კავკასიის მთებზე რიგიანი გზის გაკეთებას მოვესწრობოდეთ და დაუბრკოლებელ მისვლა-მოსვლას, მანამ, როდესაც ამ მთებში გზა გაფუჭდება, ოდესსით ანუ სევასტოპოლით და აქედამ ზღვით ატარონ ხოლმე ფოჩტა და გზავნონ ყველაფერი, რაც რუსეთიდამ და საზღვარ-გარეთიდამ ჩვენკენ, ანუ ჩვენგან რუსეთში და გარეთ გასაგზავნ-გამოსაგზავნი იქნება.

ამით არც მთავრობას მიეცემა მომეტებული ხარჯი და არც გამგზავნმიმღებს დაუგვიანდება მაინც-და-მაინც გასაგზავნის გაგზავნა და მისაღების მიღება. საჭიროა მხოლოდ თაოსნობა და ერთხელვე წესის დადგენა, ისეთის წესისა, რომელიც, უეჭველია, მთავრობისთვისაც სასარგებლო იქნება და ჩვენის მხრისთვისაც.

---

«დროების» ფელეტონი, 19 იანვარი.

## მოგონებანი

მომაგონდების ჭაბუკობის დრო,
როს მე მშობელის ქვეყნის ველებზე,
მოუსვენარი მქონდა ცელქობა
და სისწრაფითა ვრბოდი იქ მთებზე.

—

მომაგონდების ეზო-გარემო,
ბავშური ხტუნვა, სიცილ-სარხარი,—
ოჰ! როგორ იყო ის დრო საამო,
სამარადისოდ ჩემთვის გამქრალი!

—

მომაგონდების დედა-მშობელის
ტკბილი ალერსი, ნაზი ფერება;
მაგრამ უსაზღვრო დროთა სივრცეში
თურმე ეს ტკბილი წამიც გაქრება!

—

მომაგონდების ზაფხულის ღამე,
წყნარი სამხრეთის როს შემოსავდა;
მთვარე პირ-სავსე ცისა ფერდიდან
ბედივით წყნარად ამოცურავდა,
ვარსკვლავთა კრება ჯგუფად იქა-აქ
ცისა კამარას შემოჭედავდა.

—

მომაგონდების... მაგრამ, ეჰ, მუზავ,
ნუ განმიახლებ წარსულსა წამებს:
გუშინ ნასვამი ტკბილი ნექტარი
დღეს ნაღვლიანს გულს ვერ დააწყნარებს.

ელ. მიქელაძე.

## კახური ფელეტონი

(დიდ წერილი ჩემს დასთან)

ძვირფასო დაო მ—ო!

უზრდელობათ არ ჩამომართვა, ჩემო კარგო, რომ ამდენს ხანს შენი წერილის პასუხი ვერ მოგწერე, ამის მიზეზი ბევრია, ყველაზე პირველი კი ჩემი სიზარმაცე წერილების წერაში. რა კი ეს პირველია, მოდი უკანასკნელიც ეს იყოს, სხვებს აღარ გეტყვი, მომიტევე და შენი წერილის პასუხი მომისმინე.

— რა მიზეზია, მეკითხები, რომ ასე უეცრად მიატოვე შენგან შეთვისებული და შეყვარებული მხარე კახეთი და გაიქეცი აქედამაო? რა მიზეზია, ამბობ კიდევ, რომ თავი დაანებე იმ წმიდა საქმეს, რომელიც იდე კისრად და რომელიც თითქო ისე ძრიელ გიყვარდა შენაო? ეს საქმე შენთა მოძმეთა ცხოვრების გაუმჯობესობა, ხალხის განათლებაო და სხვა და სხვ...

მართალია მე მომწონდა და მომწონს კიდეც მშვენიერი მდიდარება კახეთისა, იმისი მშვენიერი ხშირად თვალ უწვდენი ველები, მთები, ტყეები და სხვ.; მაგრამ ყველა ამაებს რას ვაქნევდი მე? ყველა ესენი უსულო და უგონო საგნებია, ესენი მხოლოდ ჩემს თვალს ახარებდნენ, ჩემს ესტეტიურ გრძნობას აკმაყოფილებდნენ.

თუ გახსოვს, ხშირად, ამ ბუნების მშვენიერებით გატაცებული, გეტყოდი ხოლმე, რომ ამისთანა მშვენიერ ადგილს უკეთესი პატრონები ეკადრება, ვინემ ზოგიერთა აქაურები არიან მეთქი. ხომ იცი—ვინც მყავდა მე მაშინ სახეში,—ისევ ის, ვიზედაც ქვევით გეტყვი ორიოდე სიტყვა.

ამ ზოგიერთა პირებმა თითქმის ეს ბუნების მშვენიერებაც შემაძულეს, და კიდეც ამ პირების მიზეზით მე მივატოვე კახეთი.

რაიცა შეეხება იმ ჩემს საყვარელს საქმეს, რომ ის ჩემთვის დღესაც ისეთივე საყვარლად დარჩა, როგორც იყო, ამას ის გიმტკიცებს, რომ მე აქაც იმავე საქმეს ვადგევარ. მანდ გაგრძელება კი ჩემგან ამ საქმისა ყოვლად

# დღიური

მოგეხსენებათ, რომ იმპერატორმა ალექსანდრე I კურთხეულმა 18 იანვარს 1801 წელს მოაწერა ხელი საქართველოს (ქართლ-კახეთის) რუსეთთან შეერთების მანიფესტზე; მაშა სადამე, როგორც გაზ. „კავკაზი“ მოგვაგონებს, გუშინ შესრულდა სწორედ ოთხმოც-და-ერთი წელიწადი მას აქედ, რაც ჩვენ რუსეთთანა ვართ დაკავშირებული.

* * *

ზემოხსენებულისავე გაზეთის სიტყვით, კ-ნა ბ. ბარათოვის თაოსნობით, საზაფხულო თეატრში დადგმული იქნება „ცოცხალი სურათები“ „ვეფხვის ტყაოსნიდამა.“ ამ სურათების დადგმა გამოჩენილმა მხატვარმა ზიჩიმ იკისრაო.

ამავე საბნის შესახებ ჩვენ შევიტყვეთ, რომ კ-ნა ბარათოვისა „ცოცხალ სურათებთან“ ერთად რუსულ წარმოდგენის გამართვასაც აპირებს, რომელშიაც სცენის მოყვარეები მიიღებენ მონაწილეობასაო.

ჩვენ გვაკვირვებს—რატომ ჩვენი ქართული თეატრის მოთავეებმა არ მოიპატიჟეს მხატვარი ზიჩი ცოცხალ სურათების დასადგმელად და რატომ ამ სურათებთან ერთად ქართული წარმოდგენა არ იმართება. გვაკვირვებს მით უფრო, რომ ერთის მხრით, არ ვიცით—ვის სასარგებლოდ მართავს კ-ნა ბ. ბარათოვისა ამ წარმოდგენას და მეორეს მხრით, რომ, როგორც ადრე გავიგონეთ, ბ. ზიჩის სურვილი გამოეცხადებინა—თუ კარგ ლეკურს მიჩვენებენ (რომელიც თავის მხატვრობისათვის ეჭირება), ცოცხალ სურათებს დაუდგამ ქართულ თეატრის დასსაო.

* * *

თითქმის ერთის კვირის საძაგელ ტაროსის შემდეგ დღეს, როგორც იქნა, კარგ ამინდს ვეღირსეთ. აღარც ქარი ჰქრის და აღარც თოვს. ქალაქის უმთავრეს ქუჩებს (საუბედუროდ, მხოლოდ უმთავრესს) მარჯვედ ასუფთავებენ ქალაქის გამგეობისაგან დაყენებული მუშები. იქნება ღმერთმა ინებოს და მთებშიაც კარგი ამინდი იყოს და დროზე ვეღირსოთ იქიდამ და დასავლეთ საქართველოდამაც ფოსტის მიღებას...

* * *

„ვეფხვის ტყაოსნის“ რედაქციის მუშაობა თავის წესზედ მიდის კვირაში ერთხელ იკრიბებიან და ხელნაწერ და დაბეჭდილ ვარიანტებს ერთმანეთთან ადარებონ და ასწორებენ. იმედი აქვთ, რომ რედაქცია ამ შრომას, თებერვლის დამლევს, ანუ მარტის დამდეგს შეასრულებს და მერე ამ შესწორებულის ტექსტის ბეჭდვას შეუდგებიან.

დღეს, 7 საათზე, სადგილ-მამულო ბანკში იქნება ჩვეულებრივი სხდომა ზემოხსენებულის რედაქციისა.

* * *

ახალ-სენაკიდამ შემდეგ ამბავს გვწერენ სოფ. სუჯუნის სასოფლო სკოლის მდგომარეობაზედ:

„სასიამოვნო სურათს არ წარმოადგენს ეს სასწავლებელი. გარდა ერთი შაგირდისა იქ არავინ დამხვედრია; სასწავლებლის კარები გაღებული იყო, ფანჯრების მინები სანახევროდ ჩამტვრეული, აღმოსავლეთის ცივი ქარი ჰქროდა. თვით სკოლაში თითქმის კოჭებამდინ მტვერი, მინებიც გაჭუჭყიანებული. მითხრეს, ბევრი შაგირდები ავად არიანო,—ეს ადვილად წარმოსადგენია, თუ ამ სისუფთავეს და სიცივეს სკოლისას მივიღებთ მხედველობაში. მითხრეს აგრეთვე, მოსამსახურისათვის სოფელი ოთხ თუმანს აძლევს წელიწადში მასწავლებელსაო. ნეტავი ვიცოდეთ, სად მიდის ეს ფული?“

# ქართული ისტორია.

## I

### ქართული ისტორიის დასაწყისისთვის ზოგიერთი საჭირო არხეოლოგიური ცნობა.

ძველ ისტორიაში ყველა ტომის დასაწყისს აქვს ზღაპრული თვისება.

რადგანაც მწერლობა გვიან არის შემოღებული, ამისთვის ნამდვილი ისტორია მხოლოდ შემდეგში შეიძლება. თავ-და-პირველადვე გარდამოცემა ერთისა თუ მეორე ხალხის შთამომავლობაზე, ვისგანმე მოგონილი, გავრცელებულა თანა-მესაზღვრე ანუ თანა-მონათესავე ტომში.

ეს არის მიზეზი, რომ მრავალს სხვა-და-სხვა ნათესავში საფუძველი ზღაპარ-სიტყვიერის თქმულებისა ხშირად ერთი და იგივეა. ისტორიის დასაწყისი, როგორც თვითოეულმა ვიცით, ხან-და-ხან დაწვრილებით გვიამბობს, სად და როგორ წარმოსდგა ესა-და-ეს ტომი, ვინ იყვნენ სახელდობრ იმათნი წინაპარნი, რა რიგად ისახელეს თავი; როგორ გადასახლდნენ ერთის ქვეყნიდამ მეორეში, ესე იგი იქ, სადაც იმისი ისტორია არის დაწყობილი, როგორ გადასცეს თავისი სახელ-წოდება მთელ ტომს, მთელ თემებს და სხ. რასაკვირველია, რომ მთელი ამ გვარი გარდამოცემა არ არის მთლად უარ-საყოფელი. ხან-და-ხან ის წარმოგვიდგენს ნამდვილ შემთხვევას გადაკეთებულს, ზღაპრულის ხასიათით გარემოცულს. საჭიროა იმისი საფუძვლიანი გარკვევა და განწმედა. ეს შეუძლიან მხოლოდ მეცნიერებას: ეს მეცნიერება არის შედარებითი ენათ-შესწავლა ანუ ლინგვისტიკა და არხეოლოგია ძველის დროებისა.

ორივე ეს შტო მეცნიერებისა არის ახლად-დაფუძნებული.

რაში მდგომარეობს, რას გვიჩვენებს ერთიცა და მეორეცა?

ლინგვისტიკამ ისეთი ძალა აღმოაჩინა, რომ იმან დაჰყო ყველა ენები მოდგმა-მოდგმად, ნათესავებად ანუ გვარებად, გრუპპებად და დიალექტებად. ერთ მოდგმას შეადგენს—ჩინური ენა, ტიბეტური და სხ., მეორეს—იაპონური. ავსტრალიური, ნეგრული აფრიკაში, ამერიკის ენები, ტურანული ანუ ფინნური, თურქული, მონგოლური, თუნგუზური, სამოედური; მესამეს—**სემიტური** ანუ არამეო-ასსირიული (ქალდეური, სირიული და ასსირიული), ქანანეური (ებრაული და ფინიკური), არაბული; **ქამიტური** (ეგვიპტური, ლიბიური და ეფიოპიური); **ინდო-ევროპიული** (ირანული, ზენდური, სპარსული, სომხური, ოსური, ქურთული, ავღანური), კელტური, ელლინური, გერმანიული (გოთური, სკანდინავური) სლავიანური და ლეტტური.

ენების შესწავლამ ცხადად აღმოაჩინა კაცობრიობის უძველეს წინაპართ პირველი სამშობლო, ყოფა-ცხოვრება, სარწმუნოებრივი მიდრეკილება, ურთი-ერთი იმათ შორის დამოკიდებულება და სხ. ერთის მეცნიერის შენიშვნით, „ენა მიგვიძღვის დროების წყვდიადში და გვაკავშირებს შეუწყვეტელის სიტყვის ჯაჭვით კაცობრიობის წინა-პართან“.

ამ გვარივე ნათელი მოჰფინა კაცობრიობის დასაწყისს თვით არხეოლოგიამ. არხეოლოგიის წყაროებს შეადგენენ დედამიწაში ჩამარხული გადაშენებულთ ტომთ კვალი, ძველ ნანგრევებში და სასაფლაოებში დაცული იმისი ნაშთი და ნაწარმოები. აქამომდე შეგროვილის მასალების შემწეობით არხეოლოგიამ უკვე გაარკვია ის ცხოვრება, რომელიც ადამიანის მოდგმას გაუვლია ბევრით ადრე ისტორიის დროებამდე.

ახლა ლინგვისტიკისა და არხეოლოგიის ძალით ვიცით, რომ კაცობრიობის პირველი ადგილ-მამული იყო საშუალო აზია ანუ ვრცელი ვაკე-მაღლობი, საიდამაც მიმდინარებს დიდი მდინარე, ოთხ შტოდ დაყოფილი. ეს ვაკე-მაღლობი ბოლირი ანუ ბელურტაგი; ეს ოთხნი მდინარენი არიან: ინდოსი, ჰელმენდი, ოქსუსი და იაქსარტი.

აქედამ გაიბნა ადამიანის თესლი სხვა-და-სხვა მხარეს. თავიანთ მოგზაურობაში იმათ თან გაჰქონდათ ძველი მამა-პაპური თქმულება, რომელიც დატოვებულის ქვეყნის თვისებას ანუ მოვლენას რასმე მოასწავებდა; გარდა ამისა ისინი ახალ ქალაქებს, მდინარეებს, მთებს და ადგილ-მამულებს, სადაც კი ბინადრობს სდებდნენ, დროთ თუ სამუდამოდ, იმ სახელებს აძლევდნენ, რომელნიც იმათ დატოვებულს ქვეყნებს მოაგონებდნენ. ამის გამო ერთი და იგივე სახელ-

---

შეუძლებელი იყო, და რატომ—ეხლავე გეტყვი.

ხალხის განათლება ჩვენში ახალი საქმეა. ყოველს საქმეს, ნამეტნავად თუ ეს საქმე სახალხოა და საზოგადო, თვით ხალხისა და საზოგადოების თანაგრძნობა ეჭირვება, ნამეტურ იმ საზოგადოებისა, სადაც ეს საქმეა დაწყებული. უმრავლესობა მდაბალი ხალხისა უმეცარია, იმას თითქმის ყოველ მის ნაბიჯის გადადგმაში ეჭირვება რიგიანი წინამძღოლი, მაჩვენებელი კეთილის გზისა.

ვინ არიან ჩვენს სოფლებში ეს წინამძღოლნი?

—მღვდელნი და ადგილობრივი მემამულეები.

როგორა გგონია, როგორი წინამძღოლები იპოვნეს ამათში ყვარელებმა?

სხვაზედ არავიზედ ვიტყვი, მხოლოდ ამ უკანასკნელ დროს ბელადობა მიიღეს თავიანთ თავზედ მ. მღ. ა—ლემა—შვილმა და თავადმა გ. ჭ—მ. რა შედეგიც მოიტანა ამათმა ბელადობამ და რა წინამძღოლნი არიან ესენი, ეხლავე დაინახავ.

ამათ ამითვალწუნეს, მე, როგორც მასწავლებელი, გამართეს ათასგვარი ინტრიგები ჩემს წინააღმდეგ, რომ რამე რიგად გადავეძევებინეთ ყვარლიდამ. რისთვის? რათა?—აი რათა: ერთი ეს, რომ გ.... ჭ—ძე ერთი იმ პირთაგანია, რომელსაც ყველაზე და ყველაფერზე მის არე-მარე ჰსურს სრული მეუფება, (არ ვიცი კი საიდამ და რა უფლებით დაიმსახურა მან ეს უპირატესობა სხვებზედ). იმას უნდა, რომ ყველანი მისი ფერხთა მლოკავნი იყვნენ ყვარელში. მე კი, სწორედ გითხრა, ვერ ვიცან მისი ძალა ჩემთვის ძლიერად. ვერ დავემონე მის განუსაზღვრელ წადილს. აი ჩემი ერთი დანაშაულებათაგანი და მისი ჩემი აძულების მიზეზი... მეორე ის, რომ, ხომ გახსოვს შარშან დღევანდელ დღეს (თოთხმეტ იანვარს) ერთ პატივცემულ ოჯახში იმისი მუშტებით გალაშქრება ქალებზე?... ეს ამბავი თითქმის იმავე კვირაში, მე და შენ ერთად წავიკითხეთ გაზეთ „დროებაში“. ამ ამბის გამოაშკარავება ამ ფრიად პატიოსანმა გვამმა მე დამაბრალა.... აი მეორე და უმთავრესი მიზეზი იმისი ჩემზედ გადაკიდებისა.

არ გეგონოს კი, რომ ეს გადაკიდება, ან იმისი ხვეწნა და მუდარება ჩემს მთავრობასთან იყოს ჩემი მანდედამ გადმოსვლის მიზეზი! არა, გარწმუნებ, ეს მხოლოდ ჩემი სურვილი იყო. დაარწმუნე თვით ბატონი გ. ჭ—ძე, რომ, თუ ის დარწმუნებულია თავის ძლიერებაზედ ამ შემთხვევაში და ნეტარებს, გამოვიდეს ამ ტკბილ ოცნებებიდამ.

ჭორს და ბოროტ ენას ბევრი რამ შეუძლიან. ერთი შემატყობინე, მართალია ეს, თუ არა: აქ ხმა დაჰყარეს ვითომც დღევანდელს დღეს გ. ჭ—ძეს დიდი წვეულება ჰქონდეს გამართული და დასაპატიჟებელი წერილები ვითომც ამ რიგად იყოს დაწერილი:

„განვლო რა ერთმა წელმა შარშან თოთხმეტ იანვრიდამ, ჩემის ჩემს მოსისხლეთა მტერთა ზედა გალაშქრებისამან, ჩემგნით მათზედ გამარჯვებამ და სამშობლოსა შინა ჩემსა მშვიდობით დაბრუნებისამან, მე განვიძრახე დღეს, თოთხმეტ იანვარს, ათას რვაას ოთხმოც-და-ორსა წელსა, ვიდღესასწაულო ეს დღე, და თქვენცა ჩემნო ერთგულნო მოძმენო, გხოვთ

წოდება მოგზაურობდა ერთის ქვეყნიდამ მეორეში და მესამეში.

სულ ძველად საშუალო აზიიდამ გავიდნენ ქამიტნი და დაბინავდნენ ზოგნი სპარსეთის ყურეს გარეშემო, ზოგნი ქალდეაში, ზოგნიც ნილოსის მდინარეზე. ქამიტებმა თითქმის ერთ დროს დააფუძნეს (4000 წლის წინ ქრისტეს შობამდე) სამეფოები ბაბილონში და ეგვიპეტში. თითქმის იმავე დროს დაიძრნენ ტურანელნი: ერთმა იმათმა ნაწილმა გაიარა კასპიის ზღვის ჩრდილო მხარე და მიჰმართა მცირე აზიას და ევროპას; დაშთენი ნაწილი იმათი გაემგზავრა სამხრეთისკენ, გადაელო ინდო-ქუშის მთა და დასახლდა ინდოეთის საზღვრად — ატროპატენში (ადერბეიჯანში) და არმენიაში. ამ დროს სემიტანი და არიელნი ბინადრობდნენ ჯერ ისევ თავის სამშობლოში: იმათ ეპოულობთ იქვე 3000 წლის წინ ქრისტეს შობამდე. სემიტანი მიჰყვნენ ქამიტების ნავალს და დაუკავშირდნენ იმათ, ბოლოს მძლავრეს და დაიმონავეს ანუ ამოსწყვიტეს ისინი ქალდეაში, ასსირიაში, პალესტინაში და არაბისტანში. არიელთ მონათესავეთა შორის პირველნი შეიძრნენ კელტნი; იმათი გზა იდო კასპიის სამხრეთად, შავი ზღვის ჩრდილო მხარესკენ და დუნაით ევროპისკენ. ირანელნი გაემგზავრნენ ზოგნი ინდოეთისკენ, ზოგნი მიდიისკენ და სპარსეთისკენ და 2500 წლით ქრისტეს წინ იმათ დაამხვეს პირველი ბაბილონის იმპერია. ბოლოს გაკვლეულ კვალს მიჰყვნენ ჯერ გერმანიელნი, მას უკან სლავიანნი. იმათ კაი ხანი იბინადრეს სკვითების მხარეში, ვიდრე ევროპისკენ გაიწევდნენ.

ზოგი აქ ჩვენებულთ ტომთაგანნი თავის მოძრაობაში ხანგრძლივ შეჩერდნენ მცირე-აზიაში. მცირე აზია ანუ ანატოლია შეადგენს ნახევარკუნძულს. სამის მხრით ის არის შემოზღუდული ხმელეთ-შუა ზღვით, ეგეის ზღვით ანუ არხიპელაგით, პროპონტიდით ანუ მარმარილოს ზღვით და პონტის ანუ შავის ზღვით. დანაშთენის მხრით იმას უკავშირდება ხმელეთი: ნაწილი სომხეთისა ეფრატის სათავეებში და მესხეთის მთა.

მცირე აზია იყოფა ტავრს-აქეთ აზიად და ტავრს-იქით აზიად. ტავრის მთა მესხეთის მთის შუამავლობით უერთდება თვით ჩვენ კავკაზს. შესანიშნავნი მცირე აზიის მდინარენი არიან: უმთავრესი სივრცით და ისტორიულის მნიშვნელობით ჰალისი ანუ ახლანდელი ყიზილ-ერმაკი, თერმოდონი, ირისი და სანგარიოსი. მცირე აზიის ძველ მცხოვრებლებში შესანიშნავნი არიან: სემიტური ანუ არამიულიოგვარი და არიული გვარი. მცირე აზიის არამიელებში ღირს-სახსოვარნი არიან: კაპპადოკელნი, კილიკელნი და კარიელნი. არიელთ ტომთ რიცხვში მიზიელებს და ლიზიელებს ეჭირათ ჩრდილო-აღმოსავლეთი მხარე. ორსავე ამ ტომს ჰხადიან ფრიგიელებად და ფრიგიელების მონათესავებად ჰრიცხვენ თვით სომხებს.

მცირე აზიის ყველა ტომებში უმთავრეს ტომად ითვლებიან პელაზგები. ეს სახელი ძველადვე ამოიკვეთა, მაგრამ იმათი ზღაპარ-თქმულება ანუ მიფი იმათ შთამომავალ ტომში ელლინებში დარჩა. ამტკიცებენ, ვითომც პელაზგებს ზემო აზიიდამ ურალის მთა გადმოევლოთ და ვითომც პირველი ბინადრობა იმათ დაედვათ ჩვენი კავკაზიის ჩრდილო-მხარეს. პელაზგების მიფი იმათ წინა-პარად უჩვენებს იაფეტს, რომელიც კავკაზიაში თურმე ცხოვრობდა. იაფეტისა და აზიის შვილი პრომეთე კავკაზის ქედზე თურმე იყო მიმსჭვალული. აქვე თურმე ცხოვრობდა პრომეთეს შვილი და ელლინის მამა დევკალიონი. ვიდრე პელაზგები ევროპაში მიიკრიბებოდნენ, იმათი მოგზაურობა უფრო პონტის ზღვის ჩრდილოეთად ყოფილა; ერთი ნაწილი კი დაბინავებულა მცირე აზიის სხვა-და-სხვა ადგილებში დასავლეთის მხრით. პელაზგების მიფში ღირს-სახსოვარნი არიან ამაზონები. მიფი წარმოგვიდგენს იმათ მეომარ დედაკაცებად, რომელნიც თერმიდონის მთა-ღელეებში მკვიდრობდნენ და რომელთაც ჰქონდათ სამი ქალაქი: თემის-ყური, ლიკასტია და ქადესია.

იტყვიან, ვითომც ამაზონები ცხენოსნობაში და შვილდ-ისრის ხმარებაში დიად დახელოვნებულნი იყვნენ და ლაშქრობაში თავიანთ ქმრებს არა ჰშორდებოდნენ. იმ სივრცეზე, რომელზედაც გაბნეულნი იყვნენ ამაზონები, და თვით იმათ მეზობლად მკვიდრობდნენ ტიბარენნი, მაკრონნი, მოსხნი, ხალიბნი და კოლხნი. ამ ხალხებს საზოგადოდ ქართველ ტომად ჰხდიან.

ის ტომნი, რომელნიც ძველის-ძველად მოქმედებდნენ ისტორიულ ასპარეზზე, ყოველთვის ევლტოდნენ ჩვენ კავკაზს. კავკაზი მიემართება შავის ზღვის პირით სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ კასპიის ზღვის პირად. კავკაზი წარმოადგენს ორ-გვარ სისტემას: ერთია ზემო-კავკაზი ანუ უმთავრესი მთის ზურგი: მეორეა ქვემო ანუ მცირე კავკაზი, რომელიც შეკავშირებულია პიდველთან მესხეთის მთით და სურამის ქედით. ზემო-კავკაზის ზურგში უმაღლეს ქედებად ირიცხებიან: ელბრუზი (18,526 ფუტი ზღვის პირის მაღლად), კაშტან-თაუ (17,091 ფ.), დიხ-თაუ (16,925 ფ.), ყაზბეგი ანუ მყინვარი (16,546 ფ.) და ალაიხოხი (15,244 ფ.). მცირე კავკაზს უერთდება ტავრის მთა მცირე აზიაში, რომელიც თვით უკავშირდება გიმალაის მთას ინდოეთში. ზემო კავკაზის გაყოლებაზე თითქმის მეხუთედი ნაწილი ყოველთვის დაგვირგვინებულია თოვლის ფარდით: აქ სამუდამო თოვლის წრე სამხრეთით არის 9600 ფ., შუა-გულს ადგილს 10,500 ფ., აღმოსავლეთით კი 12,200 ფ.

კავკაზი უხვად არის მინიჭებული მდინარე წყლებით; იმათ შორის ზოგნი მიმდინარებენ შავ-ზღვაშ, ზოგნი კასპიის ზღვაში. შავ ზღვას ერთვიან: კავკაზის ჩრდილოეთად ყუბანი თავის ნაკადულით ლაბით; სამხრეთად-ხოპი, ენგური, კოდორი და რიონი იმათის შტოებით. კასპიის ზღვას ერთვიან: ჩრდილოეთით—თერგი სუნჯა, ყოისუ, სამური და კუმა; სამხრეთით—მტკვარი და არაქსი იმათის შტოებით.

კავკაზის მხარეზე ბუნებას მოუფენია მრავალ ნაირი სიმდიდრე: ცხელისა და ცივის ქვეყნების ჯიშის ყოველ-გვარი მცენარე; აქა-იქ, ხუთ-ექვსის საათის სავალზე, ბარიდამ მოყოლებით მთის ქედამდე, იპოება მრავალ-გვარი ბუნების ნაწარმოები, შენობაში საჭირო ხე-ტყე და ხე-ხილი. გარდა ამისა, კავკაზი განსხვავდება ცხოვრებაში სახმარის ქვებით, რომელნიც არიან: ალებასტრი, მარმარილო, გიშერი, ქვისა და ტბის მარილი; მინერალები: სააბანო წყლები, შაბი, გვარჯილა, ფისი, ნავთი; მეტალლები: ოქრო, ვერცხლი, სპილენძი კალა და სხ. აბიხის მოწმობით, „საქართველო-სომხეთის მეტალლებში რკინას და სპილენძს აქვთ დიდი მნიშვნელობა და, უნდა ვთქვათ, ძველი თქმულება იბერიის მადნებზე იმაზეა დაფუძნებული, რომ დიად გავრცელებული ყოფილა აქაური რკინა და სპილენძი. სამხრეთად კავკაზისა რკინა იპოება უფრო ქართლში, იმერეთში და სამეგრელოში. მრავალი გროვა რკინის წიდისა, აქა-იქ გაბნეული, იმერეთისა და სამეგრელოს ტყეებში, ამტკიცებენ, რომ უძველესის დროდამვე ადგილობრივ მცხოვრებთ სცოდნიათ იმათი შემუშავება. კარგი რკინის ლითონი არის აგრეთვე ახალციხე—იმერეთის და თრიალეთის მთებში და თვით სუფსის ღელეში, სადაც ძველის ქარხნების კვალი აქამომდე ჯერ არ ამოჩენილა. განსაკუთრებით ისეთ მდიდარს რკინის მადნებს წარმოგვიდგენს ლილვარის მთები სომხეთში, რომ სიმართლე მოითხოვს იმათ ვუწოდოთ საქართველოს მადნების მთებად“.

დიმ. ბაქრაძე.

(გაგრძელება)

## თფილისის სამკურნალო

ავათმყოფები მიიღებიან დილის რვა საათიდამ თორმეტ საათამდის.

ორშაბათს. გარალევიჩი და ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი მარღვების სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

---

მობრძანდეთ დარბაზსა შინა ჩემსა და ერთად მივეცეთ განცხრომასა“.

არ ვიცი მეთქი, რამდენად მართალია ეს და თუ მართალია, მეც გულით და სულით მოულოცავ მის ერთ წლიურ იუბილეის.

მღვდელს კ—ეს კი რაღა უნდოდაო, იქნება მკითხო? აი რა: მღვდელი საზოგადოდ ხარბი და გაუმაძღარია, ეს დიდი ხნის ჭეშმარიტებაა.

იმას ერთი შვილი სადღაც ფშავ-ხევსურეთში ყვანდა გადაკარგული; მამას შვილის ყოლა გვერდით უნდოდა, უნდოდა ცოტა მეტი ჯამაგირიც ჰქონოდა მის შვილს... აი იმისი ინტრიგების მიზეზი... ეჰ ან კი ღირს ვილაპარაკო იმ კაცზედ იმ სულიერს მამაზედ, რომელზედაც ამისთანა არაკი დაიარება ხალხში? იცი რა არაკი?

ერთს დილას თურმე მ. კ—ე მეტად დაღონებული ბრძანებულა. იქვე მდგომ ტერტერას შეუნიშნავს ეს და უკითხავს: რამ დაგაღონაო?—როგორ რამ დამაღონა, კაცო, ეს ორი კვირა არის, ჩემი მრევლიდამ ერთი მკვდარი არავინ გამომიტანია სასაფლაოზედაო... რამ უნდა შემინახოს ან მე ან ჩემი ცოლ-შვილიო!

— ეს რა საფიქრებელიაო, უთხრა ტერტერამ... მეც ხშირად მომდის ეგ დღე, მაგრამ მაგის წამალიც ვისწავლეო: როდესაც მისწყდება ჩემს მრევლში მკვდარი, საღამოთი გავალ ხოლმე სასაფლაოზედ და ერთ თავიდამ ბოლომდის დავგორდები. მერე უნდა ნახო მეორე თუ მესამე დღეს მკვდრის ზიდვას ვერ აუვალთო; შენც ეგრე ჰქენ და მერწმუნე მოგიხდებაო.

მ. კ—ემ.. ტერტერა მაშინ სასაცილოდ აიგდო თურმე. მაგრამ მეორეს დღეს ბაზარში ადრე მორბის გეზგეზა დიაკვანი და მედუქნეს ეხვეწება, ერთი ცხვარი დაჰკალიო, მღვდელი ავად გაგვიხდა და თბილ-თბილი ცხვარის ტყავი გვასწავლესო. თურმე, ნუ იტყვით, ბატონო, კ—ეს გულმა არ მოუთმინა, წასულა იმავე საღამოს სასაფლაოზედ და ერთი საშინლად დაგორებულა ამოჩელა კაცი. ვინ არ იცის, სასაფლაო ქვებით არის სავსე, ხან აქ დასტაკებია ქვასა ეს საცოდავი, ხან იქ და ბოლოს ამდგარა და ერთი საშინელის ხვნეშით და ზოზინით მისულა შინ. თურმე, ნუ იტყვით, მრთელი ტანი ქვებზედ ჯახაჭუხით დალურჯებოდა და მრთელი ერთი კვირა ცხვრის ჯუნე ედოთ თურმე. ასე რომ სხვის მაგიერად თავისი თავი კინაღამ მოიკვდინა.

მე, რასაკვირველია, ეს არ მჯერა: ვიცი კარგად, რომ ეს შურით სხვა მღვდლებისაგან უნდა იყოს მოგონილი, მტრის ენაა.

— მაგ ჩემს მოადგილეზე, კ—ჩზე, რაღა მოგახსენო. ვიტყვი მხოლოდ ამას, რომ გულით ვწუხვარ, რომ იმდენად დაცემულა მაგ ყმაწვილ კაცში ყოველივე ზნეობითი მხარე, რომ ამნაირის პროტექციებით და საშუალებებით ის ადგილს შოულობს, თუ ის დარწმუნებულია, რომ ამ პროტექციებით მიიღო მან ეს ადგილი და არა სხვა მიზეზებით, რასაც დრო გამოაჩენს.

ჯერ-ჯერობით ეს ვიკმაროთ. კიდევ ბევრი მაქვს სალაპარაკო და თუ არ მოგაწყინე და დრო ვიშოვე, კიდევაც მოგწერ.

შენი ერთგული ძმა.... კარგად მიცნობ ვინცა ვარ.

**სამშაბათს.** მინკვიჩი—ქირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ქირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი და დანიელ-ბეგოვი—მარდვების სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

**ოთხშაბათს.** ლისიცევი და მირამანოვი შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ქირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—მარდვების სისუსავათმყოფობისა.

**ხუთშაბათს.** ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ქირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—მარდვების ავათმყოფობისა.

**პარასკევს.** მინკევიჩი — ქირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი, მირამანოვი და დანიელ-ბეგოვი—შინაგან ავათმყოფობისა ; კელდიში—სიფილისტიკური და ქირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—მარდვების სისუსტის ავათმყოფობისა.

**შაბათს.** ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ქირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—მარდ. ს სუსტის ავათმყოფობისა.

# განცხადებანი

## პირუტყვთათვის სამკურნალო

პირუტყვთ მკურნალი საზოგადოებისა რიყეზედ, გვრიტიშვილის სახლში.

ავათმყოფი პირუტყვი საქონელი მიიღება დილის 8 იდამ ვიდრე 11 საათამდე, გარდა კვირა უქმეებისა და ტაბელის დღეებისა,

ი. მურადოვის

**წიგნის მაღაზიაში**

## ქუთაისში

მუდამ არის დამზადებული საკმაოდ ყოველ გვარი სასწავლო წიგნები, რომელნიც კი მოეთხოვებად სავაჟო და საქალებო გიმნაზიებში, სახალხო და სამოქალაქო სკოლებში მოსწავლეთა. არის აგრეთვე დიდ-ძალი სამოსწავლო და სკოლაში სახმარო ნივთები და მოთხოვნილებისა დაგვარად დახაზული რვეულები, ასი— 5 მანეთი., მუზიკალური ნოტები, სხვა და სხვა საწერი ნივთები და მასალეები უფრო იაფ ფასად, ვიდრე სხვაგან.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა მოთხოვნილებას მაღაზია დაუყოვნებლივ აასრულებს და გამოგზავნის პირველივე წამომავალი ფოშტითა. (50—43)

დაიბეჭდა და ისყიდება ბ-რ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

**მამულის**

**საერთო მფლობელობაზე**

თხზულება

ანტონ ფურცელაძისა

გამოცემული

ზაქარ ჭიჭინაძისაგან.

ფასი თითო წიგნისა ერთი აბაზი

ინგლისის მაღაზიაში



**თმისაღ-მყვანი მატ-მას-ტიკი**

ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სჩოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ (100—79)

**ინგლისის მაღაზიაში ახლად მიღებულია** დიდ ძალი ჩაი პირველი მოკრეფისა 30% უკეთესი, ვიდრე სხვაგან. **იქვე იყიდება:** პაროესინა 40 კაპ. დაწყებული; სტაქნები, ბაკლები 10 კაპ—დამ; პადნოსები 5 კ.—დამ, მურაბა და ალბომები ნახევარ ფასად და სხვ. (100—58)

**ლონდონის მაღაზია** კომერციულს ბანკის ქვეშ დაარსებულია ნამდვილი ჩაის გასასყიდლად პირველი მოკრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებრ: თოფებისა, რევოლვერებისა, კლიტეებისა, ჭურჭლებისა, კრავატებისა, დანებისა, კოვზებისა, ჩაიიკებისა, შოკოლადისა, კაკაოსი, დუხებისა, საპონისა, შხო გებისა, ცხვირ-სახოცისა, ქაღალდისა, კარანდაშებისა, კალმებისა, უნაგრებისა, სუკრისისა (გემრიელი კლეშჩივინი ზეთისა) და სხვ. საავგენტო მაკინტოშის მოსასხურავებს გასასყიდლად კანფეტების და ბატკერის და კამპ. მურაბისა, აგრეთვე ხუდქებისა და წინდების ნოტინგამიდამ. ნამდვილი ჭავანას სიგარები. (100—65)

ი. და ვ. ჭილაძეთა

წიგნის მაღაზია

## ქუთაისში

ბულვარის პირდაპირ, სობოროს გვერდით.

რომელსაც წინედ პ. ფ. ზერარდის მაღაზია ერქვა, დღეიდამ ჩვენს ხელში გადმოვიდა. ვეცდებით ყოველს ღონის-ძიებას, რომ მაღაზიის საქმე კიდევ უფრო კარგად წავიყვანოთ ყოველ-მხრივ, ვიდრე დღემდის იყო. იმედი გვაქვს პატივცემული საზოგადოება არა თუ არ მოაკლებს თავის ყურადღებას ამ მაღაზიას, რომელიც მუდამ მისს სიამოვნებას ცდილობდა, არამედ უფრო ყურადღებას მოგვაქცევს ამიერ. მაღაზიას აქვს ყველა სასწავლებელთათვის ყოველ-გვარი სახელმძღვანელო და ხელსაწყობი. მრავალი საკითხავი წიგნები ქართული და რუსული, ნოტები და სხვ.

მაღაზია იღებს ხელის-მოწერას ყველა ჟურნალ-გაზეთებზე სარედაქციო ფასით. (5—5)

ბრიქუროვის წიგნის მაღაზიაში (ბაღის პირ-და-პირ) და ბ-ნი იოანნისიანთან (ოკრუჟნის სუდის ქვემოთ) ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების გამოცემა:

წითელი ფარანი, ფასი 15 კ.
ხატაური — — — 10 კ.

# ისყიდება

25% ნაკლებ ფასად სხვა ადგილას ჩაი, კაკაო, შეკოლადი, ბისკვიტი, მურაბა, ბრინჯი, ჭურჭლები, სტაქნები, ბაკლები, თეფშები, ჩაიიკები, სუდოკები, ფოდნოსები, პირის-საბანი, კლიტეები, სამურველი, ტანისამოსის საკიდი, კოვზები, დანები, კალმები, ქაღალდი, კანვერტები, რვეულები, კარანდაშები, თოფები, რევოლვერები, კრაგები, პლაშჩები, ვანები, ქამრები, საყელურები, კლიონკა, უნაგირები, ლაგმები, უთოები, ტასტები, პირისახოცი, ცხვირის-სახოცი, ხუდქები, ტუალეტის საპონი, დუხები, შარბათი, ციტმატმაგნეზია, ქინას ღვინო, პორტ-ვეინი, ხერესი, კონიაკი და ათასი სხვ. რამეები,—**ინგლისის მაღაზიაში.** იქვე ჩაი ვაჭართათვის ნარდათ: ფუთობით 40, 46, 52 და 58 მან. და გირვანქობით: 1 მ., 1 მ. 10 კ., 1 მ. 20 კ., 1 მ. 40 კ., 1 მ. 60 კ., 1 მ. 80., და უპირველი ხარისხისა 2 მ.—წონა უქაღალდოთ.

თოფები 20—60 მან., ჩოკ-ბორ (choke bore) Ceorge Dau-ს ფაბრიკიდამ—120 მან. რევოლვერები 4—34 მან. და ბულდოგისა 11—20 მ. ქალის უნაგირები 65 მან-დამ.; შეფილდის დანები ჩანგლებით 3 მან. 50 კაპ-დამ დუჟ., ალბომები ნახევარ ფასად, ფილტრები და სხვ.

ყველაზედ უმრავლესი ამორჩევა თოფებისა და რევოლვერებისა თფილისში. (100—66)

# ისყიდება

15,000 თეფში 1 ხარისხისა, თითო 15 კაპ.

12,000 ბროლის სტაქანი თითო 25 კაპ.

10,000 ბაკალი და სტაქანი თითო 10 კაპ.

10,000 ფოდნოსი და გასალები თითო 15 კაპ.

10,000 ნევსი, 8 კ. 40-მდინ ასი.

10,000 პენალი თავის პრიბორით თითო 5 კაპ.

5,000 ბოთლი პორტვეინისა და ხერესის თითო 1 მან.

2,000 არშინი კლიონკა 60 კაპ. 2 მან. არშინი.

2,000 დიუჟინი ყარანდაში და ყალმის ხელი 8 კ. 50 კაპ. დიუჟ.

2,000 გირვანქა ინდოეთის ბრინჯი 7, 8, 10 კაპ. გირვ.

1,000 გირვ. თვალთ-მაქცი ლეპიოშკა 50 კაპ. გირვ.

600 ინგლისის რევოლვერი 4 მან. 34-მდი.

300 ინგლისის თოფი თითო 20—100 მან.

დრაპი, მაუდი, ტრიკო, ალბომები, საზამთრო პალტოები, ქუდები, შარვლები და ტანისამოსი ნახევარ ფასად. **ინგლისის მაღაზიაში.** (40—23)

ამ მოკლე ხანში იქნება

# თამაში

## XLIV ლოტერეისა

**პეტერბურღის უპატრონო ბავშვების თავ-შესაფარ სახლის სასარგებლოდ, 5,000 ყმაწვილებისათვის.**

**სულ 600 მოგებაა**

უმთავრესნი:

ერთი მოგება—225 გირვანქა ვერცხლი, სტოლისა და ჩაის სერვიზი— — — — — — 8,000 მან.
ოთხი მოგება—1,000 მანეთი — — — 4,000 მან.
ორი მოგება—500 მან. — — — — 1,000 მან.
დანარჩენი ხუთას ოთხმოც-და-ცამეტი მოგება შესდგება სხვა-და-სხვა ვერცხლის ნივთებისაგან და ხელმწიფის წაბოძებისაგან, სულ — — — — —14,000 მან.

ბილეთის ფასი 1 მანეთი.

სყიდვა ბილეთებისა შეიძლება ღუბერნატორების კანცელარიაში ანუ ყმაწვილების თავ-შესაფარ სახლების კანცელარიებში.

ლატარეის დღე გამოცხადებული იქნება.

მოგება მიეცემა მხოლოდ იმას, ვინც მთელს ბილეთს წარადგენს. (3—3)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 18 Января 1882 г. Типографія С. Меликова. გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.